

2011 წლის განმავლობაში შ.პ.ს. “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის” კუთვნილი ავტომანქანებისათვის საწვავის შესყიდვა

სარჩევი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
    1.1. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
    1.2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები
    1.3. მოწოდების ვადა
    1.4. წინადადებების მიღების დაწყება და დასრულება
    1.5. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება
    1.6. წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა

2. ტექნიკური პირობები
    2.1. საწვავის ერთეულის ფასის გაანგარიშების წესი

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

1.1. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმეტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) საბანკო რეკვიზიტები, უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

ბ) ფასების ცხრილი;

გ) საწვავის ხარისხის სერტიფიკატი;

დ) ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურების ქსელის შესახებ (მისამართების მითითებით).

სავალდებულოა პრეტენდეტს ჰქონდეს ავტოგასამართი სადგურები თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონებში.

სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის ”ა”-”კ” ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშსწორებისთვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი გადარიცხვა წარმოეებს საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

ბ) საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ტალონური ან ბარათული (მათ შორის ელექტრონული) სისტემის მეშვეობით, ეტაპობრივად, ყოველთვიურად თანაბარ პროპორციული რაოდენობით, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა მისამართზე: ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი №21;

გ) ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს: ტალონის ნომერი, მიმწოდებლის დასახელება, საწვავის ნომინალური ოდენობა, საწვავის დასახელება;

დ) ტალონის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია;

ე) პლასტიკური ბარათი საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ შემსყიდველმა მოახდინოს მასზე თვის განმავლობაში არსებული ნაშთის გაზრდა ან შემცირება;

ვ) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველ თვიურად, მიმწოდებელმა ოპერატიულად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გახარჯული საწვავის და ნაშთის შესახებ;

ზ) სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 60 კალენდარული დღის განმავლობაში;

თ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 60 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის - ”წინადადების მიღება დაწყებულია” მინიჭების ეტაპიდან;

კ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირების მიერ.

1.2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) იურიდიული პირებისათვის, ამხანაგობისათვის და ინდივიდუალური მეწარმისათვის - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ფიზიკური პირებისათვის - ნასამართლეობის შესახებ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი თავებით გათვალიწინებული დანაშაულისათვის: თავი XXVI დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და თავი XXXIX სამოხელეო დანაშაული;

შენიშვნა: საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები (პუნქტი 1.2) გაცემული უნდა იყოს ტენდერისათვის სტატუსის - "ტენდერი გამოცხადებულია" მინიჭების შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, წერილობითი ფორმით. პრეტენდენრის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას და მას არ დაუბრინდება სატენდერო უზრუნველყოფის გარანტიის თანხა.

გ) არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1.3. მიწოდების ვადა

ხელშეკრულებისგაფორმებიდან 2011 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

1.4. წინადადებების მიღების დაწყება და დასრულება

წინადადების მიღება დაიწყება 2011 წლის 7 აპრილის 00:00 საათიდან.

წინადადებების მიღება დასრულდება 2011 წლის 12 აპრილის 15:00 საათზე.

1.5. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:

მომსახურების სავარაუდო ღირებულებაა 144690.00 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

1.6. წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა: 1500,00ლარი.

შენიშვნა: შემოთავაზება ძალაში უნდა იყოს არანაკლებ 60 დღის განმავლობაში.

2. ტექნიკური პირობები

- ბენზინი-ევრო პრემიუმი, რაოდენობა 25 500 ლიტრი.
- ბენზინი-ევრო რეგულარი, რაოდენობა 12 000 ლიტრი.
- ევრო დიზელი - რაოდენობა 27 000 ლიტრი.

ფასების ცხრილი (დღგ-ს ჩათვლით, ლარი)

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
1	ბენზინი-ევრო პრემიუმი,ოქტანური რიცხვი არანაკლებ 95			25 500 ლიტრი		
2	ბენზინი-ევრო რეგულარი, ოქტანური რიცხვი არანაკლებ 92			12 000 ლიტრი		
3	ევრო დიზელი, არანაკლებ 50 PPM			27 000 ლიტრი		

მიმწოდებელი მის განკარგულებაში მყოფი საქართველოში მდებარე ავტოგასამართი სადგურების მეშვეობით უზრუნველყოფს ტალონური ან ბარათული (მათ შორის ელექტრონული) სისტემით შემსყიდველისთვის საავტომობილო საწვავის – "დიზელი არანაკლებ 50 PPM"-ის, „ბენზინი ოქტანური რიცხვი არანაკლებ 95"-ისა და "ბენზინი, რომლის ოქტანური რიცხვი უნდა არანაკლებ 92"-ის მიწოდებას.

მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები, ხარისხი და წარმოშობის ქვეყანა უნდა შეესაბამებოდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს – შესაბამისობის სერტიფიკატს;

ტალონური ან ბარათული (მათ შორის ელექტრონული) სისტემით საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის მოთხოვნისამებრ, მის განკარგულებაში მყოფი ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით;

ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენის შემთხვევაში საწვავი გაიცემა მის წარმომდგენ პირზე.

2.1. საწვავის ერთეულის ფასის გაანგარიშების წესი

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებამდე წარმოდგენილი უნდა იქნას საწვავის ერთეულის და საერთო ფასი, რომელიც გაანგარიშებული უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ფორმულის შესაბამისად.

- პრეტენდენტის მიერ საწვავის ერთეულის ფასი გაანგარიშებული და წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ფორმულის მიხედვით:

T=Rx(P+Z)x(100%+18%) ან C=Rx(P+Z)x(100%+18%)xD/1000, სადაც:

T = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ტონის ფასი (ლარში)

C = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში)

R = წინადადებების წარმოდგენის, ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში

P = წინადადების წარმოდგენის, ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB MED (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი მონაცემების საშუალო ფასი.

Z = ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;

18% = დღგ;

D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვირივის მაჩვენებელი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის ერთეულის ფასის ”C”-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ”R”-ის ან/და ”P”-ს ისეთი ცვლილებების შემთხვევაში, რომელიც იწვევს ”C”-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული) ფასთან მიმართებაში.

ამასთან ”C” უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს შესაბამისი მიმწოდებლის ქსელში იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03 ლარი) ნაკლები.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ზურაბ ფულარია, ტელ. +995 (32) 24-40-40 (დამ. 130), მერაბ დადუნაშვილი, ტელ.: +995 (32) 24-40-40 (დამ. 158)

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ხელშეკრულება №

ქ. თბილისი2011 წ.

ერთის მხრივ, შპს **"საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"** (შემდეგ – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის, ალექსანდრე საკანდელიძის სახით, რომელიც მოქმედებს შპს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის» გენერალური დირექტორის – ზურაბ ჯანჯღავას მიერ 2010 წლის 30 ივნისს გაცემული და ნოტარიუს ნანი სიდამონიძის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე (რეესტრში რეგისტრაციის №100644981) სახით და მეორეს მხრივ, --- "----------" (შემდგომში: მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი ---------- სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს «მიმწოდებელის» მიერ «შემსყიდველისთვის» საავტომობილო საწვავის (ბენზინის, დიზელის) მიწოდება (შემდგომში: "საქონელი").

1.2 "საქონლის" შემსყიდველისათვის მიწოდება განხორციელდება ტალონური ან/და პლასტიკური ბარათის სისტემის მეშვეობით ეტაპობრივად, შემსყიდველის წინასწარი ზეპირი ან წერილობითი შეკვეთების შესაბამისად "მიმწოდებლის" ავტოგასამართ სადგურებზე.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2 "მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

2.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

2.4 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

2.4.1. საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და "შემსყიდველის" მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;

2.4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;
2.4.3. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;
2.4.4. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
2.5. ყოველი გამოვლენილი დეფექტის და/ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს".
2.6. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონებით ან/და საბარათესისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით ეტაპობრივად, შემსყიდველის წინასწარი ზეპირი ან წერილობითი შეკვეთების შესაბამისად, 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2. საწვავის მიწოდებას «მიმწოდებლი» უზრუნველყოფს, მისი ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით, ბარათების ან/და ტალონების წარმოდგენის საფუძველზე. აღნიშნული ტალონები ან/და ბარათები წარმოადგენს, «შემსყიდველის» მხრიდან, შესაბამისი ოდენობის საწვავის მოთხოვნის უფლებას და ამავდროულად ადასტურებს ტალონზე მითითებული ან/და ბარათზე ჩატვირთული საწვავის რაოდენობის ,,შემსყიდველის» საკუთრებას.
3.3. «შემსყიდველის" ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის უშუალო შეკვეთიდან არაუმეტეს ორი სამუშაო დღისა «მიმწოდებელი" ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს «შემსყიდველს" (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში (მოთხოვნილი ტალონის ნომინალებით) ან/და ასევე მიღება-ჩაბარების აქტით ჩაუტვირთოს შემსყიდველს ბარათზე მოთხოვნილი რაოდენობის საწვავი.
3.4. საწვავის ტალონზე აღნიშნული იქნება: ტალონის ნომერი, საწვავის რაოდენობა, სახეობა,მიმწოდებლის დასახელება და ბეჭედი.საწვავის მისაღებად წარმოდგენილი ტალონი უკანა მხრიდან დამოწმებული უნდა იყოს შემსყიდველის ბეჭდით, დაუმოწმებელი ტალონის წარმოდგენისას საწვავი არ გაიცემა.შემსყიდველის ბეჭდით დამოწმებული ტალონით საწვავი გაიცემა ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ ყოველგვარი რისკი მათ დაკარგვაზე, დაზიანებაზე ან განადგურებაზე გადადის შემსყიდველზე და მიმწოდებელი არ აგებს პასუხს ამით გამოწვეულ შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

3.5. პლასტიკური ბარათების მეშვეობით საწვავის მიწოდებისას საწვავის ჩატვირთვა ბარათზე ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. პლასტიკური ბარათების პროგრამული

დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოთ დაუმზადოს შემსყიდველს ახალი ბარათი. პლასტიკური ბარათი ადასტურებს მისი წარმომდგენის უფლებას ავტოგასამართ სადგურზე მიიღოს ბარათზე ჩატვირთული შესაბამისი რაოდენობის საწვავი. პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ "მიმწოდებელს". "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველის" კუთვნილი პლასტიკური ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა მოთხოვნილი საქონლის სახეობითა და რაოდენობით.მყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა ასეთი ბარათის მეშვეობით არ განხორციელდება.

3.6. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები მოქმედებს უვადოდ, ხოლო პლასტიკური ბარათები 3 (სამი) წლის განმავლობაში.

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. «შემსყიდველის» მოთხოვნის (ზეპირი ან/და წერილობითი) მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, «მიმწოდებელი» ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს «შემსყიდველს» ან მის მიერ უშუალოდ უფლებამოსილ პირს მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ან/და მიღება-ჩაბარების აქტით ჩაუტვირთოს პლასტიკურ ბარათებზე, მოთხოვნილი ოდენობის საწვავი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ხარისხისსერტიფიკატებს და სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება «მიმწოდებელთან» წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით ხელშეკრულებაში მითითებულ «მიმწოდებლის» საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად "მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ბ) 3.3. მუხლში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 15(თხუთმეტი)სამუშაო დღის ვადაში.

7. ფასები

7.1. საწვავის ფასი განისაზღვრება ლარებში და მოიცავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ერთი ლიტრი საავტომობილო საწვავი დიზელი PPM50-ის ფასი შეადგენს ----- ლარს, ერთი ლიტრი საავტომობილო საწვავი ბენზინი აი-95-ის ფასი შეადგენს ------ ლარს, საავტომობილო საწვავი ბენზინი აი-98-ის ფასი შეადგენს ----- ლარს.
7.2 საწვავის საერთო ღირებულება სახეობების მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში.
7.3. საწვავის საერთო ღირებულება შეადგენს --------- (----------) ლარს დღგ-ს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის ჩათვლით, რაც შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის, ტალონების დამზადებისა და საწვავის შენახვის (მიბარების) ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.
7.4. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.
7.5. ფასების შეცვლის ინიციატორმა მხარემ წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით. ფასების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

8. საწვავის ერთეულის ფასის გაანგარიშების წესი

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებამდე წარმოდგენილი უნდა იქნას საწვავის ერთეულის და საერთო ფასი, რომელიც გაანგარიშებული უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ფორმულის შესაბამისად.
- პრეტენდენტის მიერ საწვავის ერთეულის ფასი გაანგარიშებული და წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ფორმულის მიხედვით:
T=Rx(P+Z)x(100%+18%) ან C=Rx(P+Z)x(100%+18%)xD/1000, სადაც:
T = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ტონის ფასი (ლარში)
C = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში)
R = წინადადებების წარმოდგენის, ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში
P = წინადადების წარმოდგენის, ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB MED (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი მონაცემების საშუალო ფასი.
Z = ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;
18% = დღგ;
D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვირივის მაჩვენებელი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის ერთეულის ფასის ”C”-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ”R”-ის ან/და ”P”-ს ისეთი ცვლილებების შემთხვევაში, რომელიც იწვევს

”C”-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული) ფასთან მიმართებაში.
ამასთან ”C” უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს შესაბამისი მიმწოდებლის ქსელში იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03 ლარი) ნაკლები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტალონების, ბარათებისა ან საწვავის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს შესაბამისად დაგვიანებით მიწოდებელი ტალონების, ბარათების ან საწვავის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.
9.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.
9.5. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. დამატებითი პირობები

11.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავის უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება ძალაშია მხოლოდ მისი წერილობითი ფორმით შედგენისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
11.6. ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის/პუნქტის ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ნამდვილობაზე.
11.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითო მხარეს.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21
საიდ. კოდი: 206237491
საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი", ა/ა №145770000, ბანკის კოდი: BAGAGE22
დირექტორი ფინანსურ საკითხებში ალექსანდრე საკანდელიძე

მიმწოდებელი: